

სამეცნიერო-კვლევითი
სამსახურის დებულება



SPORTUNI



თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1.1.წინამდებარე დებულება განსაზღვრავს **სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი** (შემდგომში - უნივერსიტეტი) სამეცნიერო კვლევითი სამსახურის (შემდგომში - სამსახური) სამართლებრივ სტატუსს, ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2.

2.1.სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით, წინამდებარე დებულებითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

2.2.სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე და ასრულებს მის მითითებებსა და დავალებებს.

თავი II

სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 3.

3.1. სამსახურის ამოცანაა:

ა) უზრუნველყოს უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის საბაზისო და სამეცნიერო კვლევითი უნარ-ჩვევების სწავლება, უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის სასწავლო პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების და საგრანტო პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;

ბ) მხარი დაუჭიროს ადგილობრივ საგრანტო და სხვა პროექტებში უნივერსიტეტის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობას;

გ)მართოს საგრანტო გარე და შიდა დაფინანსებასთან დაკავშირებული შიდასაუნივერსიტეტო პროცესები. მართოს და შეაფასოს სამეცნიერო კვლევის მხარდაჭერაზე მიმართული



უნივერსიტეტის შიდა საქმიანობები, მათ შორის შიდა დაფინანსების საუნივერსიტეტო მექანიზმები.

3.2 სამსახურის ფუნქციები:

ა) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი განვითარების სტრატეგიის განხორციელების კოორდინირება;

ბ) სამეცნიერო/საგრანტო კვლევების და შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში მონაწილეობა;

გ) უნივერსიტეტის შიდა საგრანტო კონკურსში წარდგენილი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შეფასების მიზნით საგრანტო კომისიის სამუშაო შეხვედრების ორგანიზება;

დ) უნივერსიტეტის საგრანტო პროექტების ფარგლებში მიმდინარე კვლევების მონიტორინგი;

ე) სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით სამეცნიერო ცენტრებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, არსებული კავშირების შენარჩუნება და განვითარება;

ვ) სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის ბაზაზე შესრულებული კვლევითი პროექტების შედეგების საფუძველზე მომზადებული სტატიების ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნების ორგანიზება;

ზ) სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისა და ინოვაციური პროექტების განხორციელების მიზნით, ახალი საქმიანი კონტაქტების დამყარება არასაუნივერსიტეტო ცენტრებთან, საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებთან, სამთავრობო დაწესებულებებთან და ბიზნეს-სექტორთან;

თ) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მუდმივი და დროული ინფორმირება ადგილობრივი (მათ შორის უნივერსიტეტის) და საერთაშორისო საგრანტო კონკურსების გამოცხადების და მათში მონაწილეობის კრიტერიუმების შესახებ;

ი) სხვადასხვა სამეცნიერო დარგის წარმატებული მეცნიერების მოწვევა ლექცია- სემინარების ჩატარების მიზნით;

კ) უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენციების/დებატების, სკოლა-სემინარების, საზაფხულო სკოლების ორგანიზება; სტუდენტური სამეცნიერო ქსელის განვითარება/გაფართოება.

ლ) სამეცნიერო კვლევებში ჩართვის სურვილის მქონე სტუდენტთა შერჩევა გასაუბრებისა და მათი აკადემიური მოსწრების საფუძველზე;

მ) სამეცნიერო-კვლევით სფეროში გამორჩეულ სტუდენტთა მიღწევების აღიარება, მათი წახალისება/დაჯილდოვების შესახებ რექტორისათვის რეკომენდაციების წარდგენა;

ნ) სტუდენტთა სამეცნიერო უნარ-ჩვევების სწავლებისათვის შესაბამისი გარემოს და სათანადო აღჭურვილობის უზრუნველყოფა;



მიეროვნულ სამეცნიერო ფონდის/ფონდების და ასევე ადგილობრივი ფონდებს მიერ დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტების ადმინისტრირება და ხელშეწყობა.

თავი III

სამსახურის სტრუქტურა, ხელმძღვანელობა და თანამშრომლები

მუხლი 4

4.1.სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

4.2.სამსახურის უფროსის არყოფნის ან/და ამ პოზიციაზე ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტის რექტორი იღებს გადაწყვეტილებას სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის შესახებ.

4.3.სამსახურის შემადგენლობაში შედიან სპეციალისტები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი. ისინი ანგარიშვალდებულნი არიან სამსახურის უფროსის წინაშე. მათი ფუნქციები დაკონკრეტებულია მათთან გაფორმებული შრომითი კონტრაქტითა და სამუშაო აღწერილობით.

მუხლი 5

5.1. სამსახურის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;

ბ) ანაწილებს ფუნქციებს სამსახურის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ შესაბამის მითითებებს და დავალებებს;

გ) პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

დ) აკონტროლებს სამსახურის თანამშრომლების მიერ ფუნქციების შესრულებას;

ე) ანაწილებს სამსახურში შემოსულ კორესპონდენციას;

ვ) პერიოდულად სამსახურის თანამშრომლებისგან ისმენს ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;

ზ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ავიზებს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებს;



თ) უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს სამსახურის საქმიანობის შესახებ წლიურ ან/და წელიწადში ორჯერ ანგარიშს;

ი) უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის სახელით გასცემს დასკვნებს;

ლ) უშუალოდ სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე.

მ) ასრულებს რექტორის მითითებებს წინამდებარე დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში.

თავი I V

დასკვნითი დებულებები

მუხლი 6.

6.1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.3. დებულება ძალაშია საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

6.4. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან/და სამსახურის ლიკვიდაციის შემთხვევაში.